№ 293 მთავრობის ორგანო

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე.

ფასი 1 მან. პარასკევი, 26 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) „საქართველოს რესპუბლიკა“ მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი № ყველგან 1 მან. საგამოცემო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი პეტიტი 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## კანტორისაგან.

### მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ“ 1920 წლისთვის

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი.

1 იანვრიდან გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

კერძო პირთაგან განცხადებანი ნისიათ არ მიიღება.

რედაქციის კანტორის მისამართი: ქ. ტფილისი, ბარონის ქ № 6. ტელ. 1—82.

## კიტა აბაშიძის

გარდაცვალების ორი წლის თავზე, მისი სულის მოსახსენებლად, კვირას დეკემბრის 28 ს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ განსვენებულის ჭირისუფლები. დასაწყისი წირვისა—10 ს., პანაშვიდისა—12 ს. 2—1

## ინგლისის სავაჭრო კომპანია „სინგუნიონ ლიმიტედი“

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ინჟ. ლეო ქრისტეფორეს ძე გერმანი აღარ არის არც მისი წარმომადგენელი და არც თანამშრომელი. კომპანიის საქმეებისთვის უნდა მიმართონ მის კანტორას ბათუმში. მიხეილის ქ. № 9. 450 3—1

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

პარასკევს, დეკემბრის 26-ს ნინო კოშიცის მონაწილეობით

## „ვ ე რ ტ ე რ ი“

22 დეკ. აღებული ბილეთები გამოდგება 26-სთვის. შაბათს, დეკემბრის 27-ს ოპერა მუშებისთვის „ტრავიატა“. კვირას, დეკ. 28-ს დილით საბავშვო ოპერა „კატა წაღებით და 7 თხა“ საღამოს „აბესალომი და ეთერი“. ორშაბათს, დეკ. 29-ს ნ-ნო კოშიცას მონაწილეობით „პიკის ქალი“ სამშაბათს, დეკ. 30-ს ვიქტორ დოლიძის ბენეფისი „ქეთო და კოტე“. 264.

## შ ტ ა ტ ი.

### საქართველოს სენატის და მასთან არსებულ დაწესებულებათა.

| § | მუხლი. | თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა. | ყოველთვ. თვეში დამატებ. | რიცხვი. | უნდა მიეცეთ: თვეში. ერთს. | თვეში. ყველას. | წლიწადში. ერთს. | წლიწადში. ყველას. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | **საქართველოს სენატის და მასთან არსებულ დაწესებულებათა შენახვა.** | | | | | | |
| | 1 | **სენატორების პირადი შედგენილება.** | | | | | | |
| | | სენატის თავმჯდომარე | 9000 | 1 | 9000 | 9000 | 108000 | 108000 |
| | | მისი ამხანაგი | 8000 | 1 | 8000 | 8000 | 96000 | 96000 |
| | | სენატორები სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტებისა | 7500 | 8 | 7500 | 60000 | 90000 | 720000 |
| | | სენატორები სისხლის სამართლის დეპარტამენტისა | 7500 | 5 | 7500 | 37500 | 90000 | 450000 |
| | | 1 მუხლის ჯამი | — | 15 | 32000 | 114500 | 384000 | 1374000 |
| | 2 | **დეპარტამენტის შენახვა.** | | | | | | |
| | | სენატის პროკურორი | 8000 | 2 | 8000 | 16000 | 96000 | 192000 |
| | | პროკურორის ამხანაგი | 7000 | 5 | 7000 | 35000 | 84000 | 420000 |
| | | სენატის მდივანი | 2500 | 2 | 4000 | 8000 | 48000 | 96000 |
| | | მდივნის თანაშემწე | 2000 | 5 | 3500 | 17500 | 42000 | 210000 |
| | | სენატის პროკურორის მდივანი | 1800 | 2 | 3200 | 6400 | 38400 | 76800 |
| | | თარჯიმანი | 1500 | 1 | 2500 | 2500 | 30000 | 30000 |
| | | არქივარიუსი | 1200 | 1 | 2000 | 2000 | 24000 | 24000 |
| | | სასამართლოს ბოქაული | 1200 | 2 | 2500 | 5000 | 30000 | 60000 |
| | | სასამართლოს იასაული | 800 | 2 | 1525 | 2450 | 14700 | 29400 |
| | | კანცელარიის მოხელენი დეპარტამენტისა და პროკურორების კანცელარიებისა და არქივში | 800 | 15 | 1295 | 19425 | 15540 | 233100 |
| | | შიკრიკი | 600 | 4 | 1225 | 4900 | 14700 | 58800 |
| | | მე 2 ე მუხლის ჯამი | — | 41 | 36445 | 119175 | 437340 | 1430100 |
| 3 | | **საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი.** | | | | | | |
| | | სენატისთვის | — | — | 10000 | 10000 | 120000 | 120000 |
| | | სენატის პროკურორებისათვის | — | — | 6000 | 6000 | 72000 | 72000 |
| | | მე-3 ე მუხლის ჯამი | — | — | 16000 | 16000 | 192000 | 192000 |
| | 4 | საგზაო და დღიური ხარჯი რევიზიის დროს | — | — | 8000 | 8000 | 96000 | 96000 |
| | | მე-4-ე მუხლის ჯამი | — | — | 8000 | 8000 | 96000 | 96000 |
| | 5 | **სენატის საკოდიფიკაციო განყოფილების პირადის შედგენილობის შენახვა.** | | | | | | |
| | | განყოფილების გამგე | 2500 | 1 | 4000 | 4000 | 48000 | 48000 |
| | | მისი თანაშემწე | 2000 | 1 | 3000 | 3000 | 36000 | 36000 |
| | | საქმის მწარმოებელი | 1500 | 1 | 2500 | 2500 | 30000 | 30000 |
| | | მისი თანაშემწე | 1200 | 1 | 2000 | 2000 | 24000 | 24000 |
| | | უფროსი კორექტორი | 1800 | 1 | 3000 | 3000 | 36000 | 36000 |
| | | უმცროსი " | 1500 | 1 | 2500 | 2500 | 30000 | 30000 |
| | | ექსპედიტორი | 1200 | 1 | 2000 | 2000 | 24000 | 24000 |
| | | მანქანით გადამწერი | 800 | 1 | 1295 | 1295 | 15540 | 15540 |
| | | შიკრიკი (იგივე დამტარებელი) | 600 | 1 | 1225 | 1225 | 14700 | 14700 |
| | | მე-5 ე მუხლის ჯამი | — | 9 | 21520 | 21520 | 258240 | 258240 |
| | 6 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | — | — | 4000 | 4000 | 48000 | 48000 |
| | | მე-6-ე მუხლის ჯამი | — | — | 4000 | 4000 | 48000 | 48000 |
| | 7 | სტამბის და ქაღალდის ხარჯი | — | – | 30000 | 30000 | 360000 | 360000 |
| | | მე-7 ე მუხლის ჯამი | — | — | 30000 | 30000 | 360000 | 360000 |
| | | 1 § ის ჯამი | — | — | 147965 | 313195 | 1775580 | 3758340 |

1919 წ. დეკემბრის 9-ს.

**საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი.**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

16 დეკემბრის სხდომა.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნ. ჟორდანია; მინისტრი—ბ ნი ერაძე; მინისტრთა ამხანაგები—ბ ნნი ავალიანი, ბახტაძე, ცინცაძე; იუსტიციის დეპარტ. დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი—ბ-ნი ჟორდანია; საქმეთა მმართველი—ჯ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. ლომთაძე.

### გემი „მარია“-ს საქმე.

გემი „მარია“-ს გაძარცვის საქმე გადაეცეს საგანგებო სასამართლოს.

### სასჯელის პატიების შესახებ შუამდგომლობათა უყურადღებოთ დატოვება.

უყურადღებოთ იქნას დატოვებული: ალექსანდრე ლუკას ძე დვალაძის თხოვნა ტფილისის დროებითი საგანგებო სასამართლოს 1919 წ. აგვისტოს 27-ს დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

ისაკი მოსეს ძე ძნელაძის თხოვნა ქუთაისის საგანგებო სასამართლოს 1919 წ. მარტის 29-ს დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

შალვა ივანეს ძე თუთაშვილის თხოვნა ტფილისის საგანგებო სასამართლოს 1918 წლ. დეკემბრის 16-ს დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

ივანე ალექსანდრეს ძე ზირაქაშვილის თხოვნა ტფილისის საგანგებო სასამართლოს 1918 წლ. ივნისის 5-ს დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

სვიმონ მიხეილის ძე ალექსიშვილის თხოვნა სიღნაღის სარევოლიუციო ტრიბუნალის 1918 წლ. ივნისის 22-ს განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელის პატიების შესახებ.

### მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად.

პროექტი მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად საჭირო მუშაობისა მოწონებულ იქნას. ამ მიზნით მიეცეს ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობას და ოზურგეთის ერობას 500,000 მან სესხი, ხოლო იმ პირობით რომ, მუშაობა შესრულებულ იქმნას მცხოვრებთა მიერ (ბეგარის სახით). სათანადო დეკრეტის შემუშავება დამფუძნებელ კრებაში წარსადგენათ დაევალოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს. მუშაობაზე ტეხნიკური ზედამხედველობა დაევალოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს სახით.

# შინაგან საქ. სამინისტროში

### შარა-გზებით სურსათის გაზიდვის აკრძალვის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი მომართვა მიიღო მომარაგების სამინისტროდან: მომარაგების სამინისტრო ყოველგვარ ზომებს ღებულობს საქართველოს საზღვრებიდან სურსათის გაზიდვის შესაწყვეტად. მაშინ, როდე-

საც რკინის გზებით ხორბლის გაზიდვა საქართველოდან შეწყვეტილია, მომარაგების სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით, ხორბალი ფარულად გააქვთ საზღვარგარეთ გზატკეცილებით. ამის წინააღმდეგ საჭიროა მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები და განკარგულება გასცეთ თქვენდამი რწმუნებულ დაწესებულებათა და პირებისადმი, რათა შეწყვეტილ იქნეს საზღვარ-გარეთ გზატკეცილებით ფარულად ხორბლის გაზიდვის შესაწყვეტად".

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის გამო ცირკულიარული წინადადებით მიმართა ყველა სამაზრო ერობებს, ფინანსთა სამინისტროს და სანაპირო რაზმის უფროს დაუყონებლივ მიიღონ ზომები გზატკეცილებით საქართველოდან ფარულად ხორბლის გაზიდვის შესაწყვეტად.

**ნეიტრალურ ზონაში სურსათის გზავნის შეწყვეტა.**

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 26 დეკემბიდან სად. ბაირუმმა სრულიად შესწყვიტა ხორბლის ტვირთების მიღება სანაინისაკენ გასაგზავნათ.

**ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სამაზრო ერობებს:

სამინისტროში მიღებულია ცნობები, რომ სოფლის კომისრები ჯარში გასაწვევ ახალგაზრდა პირთ აძლევენ ბათუმში წასასვლელ მოწმობებს, რითაც აძლევენ მათ საშუალებას, რათა თავიდან აიცილონ სამხედრო ბეგარის მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარია გაუწყებთ რა ამას, მინისტრის ამხანაგის დავალებით გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება თქვენდამი რწმუნებულ მაზრის ადმინისტრაციისადმი, რათა შემდეგში არ დაუშვან ამნაირი შემთხვევები.

## იუსტიციის სამინისტროში

**კამერების დათვალიერება.**

იუსტიციის სამინისტროს მიერ ტფილისის ქალაქის თვითმართველობის წინაშე აღძრულ შუამდგომლობის გამო, სასამართლოს გამომძიებლებისთვის და მომრიგებელ მოსამართლეთათვის შესაფერ ბინების აღმოჩენის შესახებ, სამშაბათს, დეკემბრის 23-ს ტფილისის ქალაქის თავმა ბ. გ. ჩხიკვიშვილმა და იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერეს ქ. ტფილისის გამომძიებელთა და მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები. ქალაქის თავმა, გაიცნო რა პირადად სასამართლო დაწესებულებათა უაღრესად გაჭირებული მდგომარეობა ბინის მხრივ, აღუთქვა მათ ყოველივე დახმარება შესაფერ ბინებით უზრუნველყოფის საქმეში.

**მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის წესიერ საქმიანობისათვის.**

იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობით, ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლეთა და სამომრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარენიც ნებადაურთველად მიდიან თავ თავიანთ უბნებიდან. ამიტომ სამინისტრომ განმარტება მოსთხოვა იმ მოსამართლეთ, რომელთა შესახებ ასეთი ცნობები ჰქონდა და საერთო განკარგულება გასცა, რათა მომრიგებელი მოსამართლენი და სამომრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარენი თავიანთ რეზიდენციას არა შორდებოდენ თუ არ კანონიერის წესით მიღებულ თავისუფლების დროს.

**სამომრიგებლო კამერების საქმიანობის გაცნობა.**

იუსტიციის სამინისტროს მიერ იგზავნებიან სამომრიგებლო კამერების საქმიანობის გასაცნობად: ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი გ. რ. მუატი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში—ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ა. ლ. ჟორდანია.

**შტატების შემცირება.**

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს, რათა დამფუძნებელ კრების მიერ ამა წლის დეკემბრის 9 ს მიღებულ დეკრეტის თანახმად დაწესებულებათა შტატები შემცირებულ იქმნას 1920 წ. იანვრის 1-მდე.

## სატარიფო პალატაში

ქ. ტფილისის დიტიატკოვსკის ამხან. მოსამსახურეთა ხელფასის ტარიფი:

ბუჰჰალტერს თვიურად 3000 მან., უფროს ნოქარს 2300 მან., 1 კატეგორიის ნოქარს 2000 მან., 2 კატეგორიის ნოქარს 1500 მან., მუშა ბავშვს 900 მან.

ქ. ტფილისის ძაფის სართველი, ბამბის საწმენდი და საქსოვ ქარხნის მუშების ხელფასის ტარიფი.

მემანქანეს დღიურად 97 მან., 1 კატეგორიის ზეინკალს 97 მან., 2 კატეგორიის ზეინკალს 87 მან., ზეინკალის თანაშემწეს 76 მან., 1 კატეგორიის კაჩეგარს 85 მან., 2 კატეგორიის კაჩეგარს 83 მან., 1 კატეგორიის მუშებს (როგორც ქალებს ისე ვაჟებს) 85 მ., 2 კატეგორიის მუშებს 82 მან., 3 კატეგორიის მუშებს 70 მან., დარაჯებს და მეეზოვეებს თვიურად 1700 მან., მეურმეებს 1700 მან.

ეს ტარიფი დამტკიცებულია სატარიფო პალატის მიერ 1919 წ. 19 ნოემბერს. ძალაში შედის 1919 წ. 1 ნოემბრიდან სატარიფო პალატის ხელახალ განხილვამდე.

## პატარა შენიშვნები.

**ფიქრები ბათუმზე.**

დღიდან კავკასიის ფრონტის დაშლისა, არც ერთი საკითხი ისე ახლო, ისე სათუთად არ მიუღია ქართველ ხალხს, როგორც ბათუმის ბედი.

ბათუმზე, მის ოლქზე და საერთოდ, სამუსლიმანო საქართველოზე ფიქრი გაძლიერდა ჩვენ ხალხში 1917 წლის მიწურულში, 1918 წლის დასაწყისში—ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების და შემდეგ ოსმალების შემოტევის დროს.

ხალხი ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ბათუმი ოსმალეთს დარჩებოდა.

ოსმალეთი მაგრათ იყო ფეხ მომაგრებული ბათუმში, რომ ხალხი მაინც გაიძახოდა—ეს დროებითია, ბათუმი დაბოლოს ჩვენი იქნება.

ცხადია,—მეტად შეყვარებული უნდა ჰყავდეს ხალხს ის საგანი, რასაც ის აგრე დაჟინებით ჩაეჭიდება.

და განა სადაო უნდა იყოს ვისმესთვის, რომ ბათუმი საქართველოს, ქართველი ხალხის სხეულის განუყოფელი ნაწილია? ჩამოსჭერით სხეულს რომელიმე ნაწილი, ის დაავათმყოფდება, შემდეგ შესაძლებელია მან ვერ გადაიტანოს ტკივილები და სრულიად მოკვდეს.

საქართველო საშინელ ტკივილებს განიცდის იმიტომ, რომ მას მისი ნაწილი—ბათუმი—ჩამოსჭრეს.

მართალია, ბათუმი ჯერ კიდევ არ „მომკვდარა" საქართველოსთვის, მაგრამ მტრები მას დღითი დღე სიცოცხლეს უმოკლებენ. საქართველო კი ფიქრობს და ფიქრობს ბათუმზე...

ფიქრობდა გუშინ, ფიქრობს დღესაც!

საქმეს კი, საქმეს შავს, საქმეს მუხანათურს აკეთებენ ბათუმის მტრები, მისი დღევანდელი ბატონ-პატრონნი.

ავადმყოფი ბათუმის ბიულეტენი—ეს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველოა". იკითხეთ ეს ბიულეტენი და გაეცნობით „ავადმყოფობის" მძლავრობას!..

ბათუმისთვის სამარის გამთხრელთა რიცხვი ყოველ დღე მრავლდება: მოდიან დენიკინის სამეფოდან და ინგლისის ფორმით აკეთებენ თავიანთ შავ საქმეებს.

იმ დროს, როცა „დობროარმიაში" ჯარში გაჰყავთ ხალხი მიუხედავათ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ბათუმში დენიკინი ხელუხლებელათ სტოვებს მრავალ ოფიცრებს.

სკოლა, მილიცია, საზოგადო, სახელმწიფო დაწესებულება დენიკინის მიზნებს ემსახურება.

რომელი დაწესებულებაც არ უნდა აიღოთ, ყველგან დენიკინურ საქმეს ასრულებენ და არა იმ მოვალეობას, რაც ამ დაწესებულებებში დაგროვილ რუს-ჩინოვნიკობას აქვს ჩაბარებული ინგლისის სარდლობის მიერ.

ასე სჩივის გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", ამასვე ხედავს ყოველი ჩვენგანი. გამოსავალი გზა ვერ მოგვინახავს.

ვინუგეშებთ თავს მხოლოდ იმით, რომ დენიკინის მიზნები ინგლისის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

და განვაგრძობთ ფიქრს ბათუმზე...

## მუნიციპალური ცხოვრება.

**ქუთაისის თვითმართველობა.**

ქუთაისის ქალაქის საბჭომ სატარიფო პალატის დადგენილების თანახმათ ამა წლის გასული თვის პირველ აგვისტოდან პირველ ნოემბრამდე ქალაქის ყველა დარგის მოსამსახურეებს ჯამაგირები 20%-ით გაუდიდა; პირველ ნოემბრიდან ქალაქის მოსამსახურეებს ჯამაგირები მომატებული 20%-ის ჩარიცხვით გაუდიდდება 40%-ით.

—

ქალაქის მოურავის ამხანაგი სერგო რობაქიძე ქალაქის საქმეების გამო ტფილისში გაემგზავრა.

—

რაფიელ დვალი, რომელიც ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრის ნიკოლოზ საყვარელიძესთან ერთად სიმინდის შესაძენათ კახეთში იყო წასული, 20 დეკემბერს ქუთაისში დაბრუნდა. რაფიელ დვალის გადმოცემით—ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. საყვარელიძემ ქალაქის საჭიროებისათვის კახეთში შეიძინა ექვსი ვაგონი (6000 ფუთი) სიმინდი. კახეთიდან გამოგზავნილ სიმინდს ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მიიღებს.

—

ბესლან—ქუთაისის — კოპიტნარის შორის სატრანსპორტო რკინის გზის გასაყვანი ლიანდაგის გამოკვლევა საქართველოს საზღვრებში უკვე დამთავრდა.

ტფილისიდან ამ საქმეზე 20 დეკემბერს ქუთაისში ჩამოვიდა სამთო-მრეწველობის მთავარი ინჟინერი ვ. ჭიჭინელდტი.—ინჟინერი ფელდტი ინჟინერ ი. პრონსინსკისთან ერთად ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში ბესლან—ქუთაისს—კოპიტნარ შორის გასაყვან რკინის გზის ლიანდაგზე სათანადო მოხსენებებს გააკეთებენ.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ მორიგ სხდომაზე დაადგინა: ქალაქის საავადმყოფოს საადმინისტრაციო სამეურნეო ნაწილის გამგეს ექიმ ნემსაძეს დაენიშნოს თვეში ჯამაგირი 3000 მანეთი, გადამდებ სენიანთა ქალაქის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს ექიმ ჩარექოვს—2500 მან. საავადმყოფოს ინტერნს ექიმ ჰეიშვილს 2000 მანეთი, საავადმყოფოს ზედამხედველს ბინის გათბობის და განათების მიცემით 2500 მანეთი, ზედამხედველის თანაშემწეს ბინით, გათბობით და განათებით 2000 მანეთი და ქალაქის ვეტერინარ ექიმს—3000 მანეთი.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე დაამტკიცა 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვით ქალაქს 1919 წლის მიმდინარეობაში სულ შემოსავალი ჰქონია 13397649 მანეთი და 56 კაპეიკი.

—

ქალაქ ქუთაისის საჭიროებისათვის სენაკის მაზრაში ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ალექსანდრე ჯაფარიძემ ამ დღეებში შეიძინა ერთი ვაგონი სიმინდი; მანვე ქალაქის საჭიროებისათვის იქ რამოდენიმე ვაგონი სიმინდი კიდევ დაიქირავა.

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ლევან ქარქაშვილმა სასწრაფო მიწერილობანი დაუგზავნა ქალაქის ტელეფონის სადგურის, სატეხნიკო განყოფილების და ცეცხლის მქრობელი რაზმის გამგეებს, რომ მათ თავიანთი დარგებში დაჩქარებით შეადგინონ 1920 წლის შემოსავალ გასავლის დაახლოვებითი ანგარიშები და წარმოუდგინონ მას 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვაში ჩასატანათ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა—ლობიოზე და ხახვზე სავსებით იქნეს მოხსნილი ნიხრი.

ქუთაისის ქალაქის სანიტარული ექიმი ვალერიანე ლორთქიფანიძის ცნობით—ქალაქში დღემდე ექვსი შემთხვევა ყოფილა შავი სახადით („სიპნოი" ტიფით) ავად გახდომის. ყველა შავი სახადიანი ავადმყოფები ბარაკებშია მოთავსებული. რომ შავი სახადი არ გავრცელდეს სასტიკი ზომებია მიღებული ქალაქში სანიტარული წესების დასაცველათ.

—

ქუთაისში ერთდროული სასანიტარო გადასახადის მოქალაქეებზე გაწერა და განაწილება უკვე დამთავრდა. ქუთაისის ქალაქის გამგეობა სანიტარული გადასახადების აკრებას (8000280 მანეთი სულ ასაკრებია) უკვე შეუდგა. სანიტარული გადასახადი მოქალაქეებს ქალაქის თვითმართველობის სალაროში დაუბრკოლებლივ შემოაქვთ.

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოება „კოოპერაციას" კიდევ გადასცა 900 ფუთი ნავთი მოქალაქეებზე გასანაწილებლათ.

## ერობა.

**შუამდგომლობა.**

ქუთაისის ერობამ შუამდგომლობა აღძრა სამიწათ-მოქმედო სამინისტროს წინაშე, რათა გადაეცეს მის განკარგულებაში ამ ჟამათ ტყის სამმართველოს გამგებლობაში მყოფი ლი სანერგე „წითელ წყაროს" სანერგეში მოშენებულია უმთავრესად: ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ალუბალი.

**კომისიის გამგზავრება.**

23 დეკემბერს გაემგზავრა გიაურ-არხის სახელმწიფო მამულში სამიწათ-მოქმედო სამინისტროს სასოფლო სამეურნეო განყოფილებიდან კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს საქმის მდგომარეობას და გადასცეს რკინის გზის კომიტეტს 200,000 მანეთი მიწების დასათესათ.

**სამკურნალო მცენარეები.**

ქუთაისის სამაზრო ერობამ დაადგინა სკოლებში და ზოგიერთ საფიდო მამულებში გააშენოს სამკურნალო მცენარეულობა.

—

სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ გამოსცა და შეუდგა გავრცელებას სოფლის მცხოვრებლებში პლაკატების შემდეგ წარწერით: „მოუარეთ, უწამლეთ ბაღებს" და „იზრუნეთ მიწების დასათესად და საჭირო თესლეულობის დასაზოგავათ". სამინისტროს განზრახული აქვს გამოსცეს აგრეთვე სხვა მნიშვნელობის პლაკატებიც.

**ქუთაისის სამაზრო ერობაში.**

სამაზრო ერობის გამგეობამ 11 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა ხარჯ-აღრიცხვა სამტრედია-ხონის გზატკეცილის შესაკეთებლათ და დაავალა ერობის ტეხნიკურ განყოფილებას დაუყონებლივ შეუდგენ როგორც წინასწარ მზადების მუშაობისთვის, ისე წინასწარ მუშაობასაც; თანხა მიეცეს ნაწილ-ნაწილად.

—

განიხილა, რა ამავე სხდომაზე ხარჯთ აღრიცხვა და შემფასებელი სია კულაშის სათემო კანცელარიის და ორკლასიანი სკოლის შენობის შეკეთებისა—სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდეს; რაც შეეხება სათემო კანცელარიის შეკეთებას—მიენდოს გამგ. წევრს ალ. პაპავას ადგილობრივი ნახვით გამოარკვიოს რამდენათ მიზანშეწონილი იქნება ამ შენობის შეკეთება ამ ჟამათ, ვინაიდან, როგორც სჩანს, სათემო საერობო გამგეობას ახლო მომავალში სურს ამ შენობის სხვა ადგილზე გადატანა.

—

გამგეობამ დაამტკიცა აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა ხრესილის აფთიაქში პლიტის აშენებისა წყლის სადუღ ქვაბის (კუბის) საჭიროებისათვის.

—

გამგეობამ დაავალა აგრონომიულ განყოფილებას სააფთიაქო განყოფილებასთან შეთანხმებით ახლო მომავალში შეუდგენ „კასტორკის" მარცვლის და სხვა ბალახეულობის თესვას საერობო აფთიაქთა საჭიროებისათვის.

—

ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, ვინაიდან ბაღდათის ადმინისტრაციული რაიონი ძალიან დიდია და, როგორც გეოგრაფიული ისე სხვა ტეხნიკური პირობების მიხედვით ამაღლების და უხუთის თემები მიეწეროს ვანის ადმინისტრაციულ რაიონს თანახმად ვანის რაიონის მკვიდრთა შუამდგომლობისა და ობჩის თემი-კი მიაწეროს სვირის ადმინისტრაციულ რაიონს.

—

ქუთაისის სამაზრო ერობის ყველა დარგის მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება; განსაკუთრებულმა ბიურომ უკვე შეიმუშავა სათანადო წესდება, რომელიც ზოგიერთი ცვლილებებით უკვე დაამტკიცა თანამშრომელთა საზოგადო კრებამ ამა დეკემბრის 13 რიცხვის სხდომაზე; ამავე დღეს ამოირჩიეს კოოპერატივის გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრებათ გავიდნენ: ალ. პაპავა, მ. გავაშელი, ს. გერსამია, გ. კილაძე, ამბ. ურუშაძე, მ. ბოკერია და დ. ვარდოსანიძე; კანდიდატებათ დ. გოცირიძე, ფ. რამიშვილი და ი. ჰვაჰანიძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ: გ. კაპანაძე, ვ. ფალავანდიშვილი და ს. სულაქველიძე. გამგეობას უკვე ჰქონდა პირველი სხდომა, რომელზედაც ამოირჩიეს პრეზიდიუმი და შეუდგენ კოოპერატივის საქმის მოგვარებას.

**ექიმების მოთხოვნილება.**

ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობა სთხოვს ერობათა კავშირის კომიტეტს გაუგზავნოს ორი ექიმი და ფერშალი და ერთიც ბებია—ქალი, ექიმები მიიღებენ თვეში 4,000 მანეთს ხოლო ფერშლები 2,600 მ.

**წყალდიდობის საფრთხე.**

წყლის ინჰექცია სთხოვს ერობათა კავში-

რის კომიტეტს აცნობს, თუ რა ფარგლებში შეუძლია დახმარების გაღება ცხენის წყლის ნაპირების შეკეთებისათვის, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს და მოსალოდნელია გაზაფხულზე მთელი მხარე წალეკოს. ამისათვის წყლის ინსპექცია მოითხოვს ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და მთავრობიდან გამოთხოვნილ იქნას საჭირო თანხა.

**ქუთაისის მთავარ კომ. საწყობი.**

ერობათა მთავარი კომიტეტი აცნობებს მცხოვრებთ, რომ ქუთაისის ყოფილ მომარაგების კომიტეტის საწყობიდან კერძო პირებს ამიერიდან არავითარი სურსათ-სანოვაგე არ მიეცემათ. საქონელი მიეცემა მხოლოდ ერობებს და საჭიროებისამებრ განაწილდება მათ შორის.

## სკოლების მდგომარეობა თიანეთის მაზრაში

II.

1917 წლის შემდეგ აქ არც ერთ საქმეს პატრონი არ ჰყოლია და სკოლა ხომ მთლად ღვთისანაბარად მიტოვებული ყოფილა.

„არ იქნა და ვერ მოვიცილეთ ის უჩიტელი, უკაკუნებდა ყოველ დილით ზარს და ბალღებს გვიცდენდა, მერმე კი მიუცვივდით და დაუმტვრიეთ ის ზარი და როცა ველარ დაუკაკუნა, ადგა და თითონაც წავიდაო“, ასე მიამბო სოფლელების ნაამბობი ერთმა ჩემმა თანამგზავრმა. არ ვიცი მართალი იყო თუ არა ეს ამბავი, მგონია კი ნამდვილი იყო! მიტოვებულ სკოლაში სოფლის ჯეელებს უმართავთ არაყის სმა, ცეკვა, ლხინი და თოფების სროლა. ბევრგან დაუხვრეტიათ ჭერი და სახურავი, ბევრი შუშა გამოუტეხიათ ფანჯრებში. შემდეგ კი სოფლის ბიჭებს მზეზე მობჭყვრიალე შუშები ქვის სანიშნოდ მიუჩენიათ და თითო თითოდ ჩაულეწიათ წვითა და დაგვით აშენებული ფანჯრები! ახლა ფული რომ იშოვოთ, შუშას ველარ შოულობთ! შუშა რომ გააჩინოთ, ოსტატი ველარ გინახავთ და ასე ბოლომდე.

გაბინძურებული შენობების გაწმენდა თითონ სოფლელებს დავავალეთ; აასრულეს კიდეც, იცნეს რა თავიანთი თავი დამნაშავედ! შეკეთებას კი შეუდგა ერობა, მაგრამ ვაი ამ შეკეთებას! ბევრგვარი შრომაა საჭირო, ბევრი სიძნელე არის გადასალახავი, ბევრი კვირეები და თვეები უნდა ვიშრომოთ და ვაკეთოთ ის, რაც უვიცურთა ხელს ერთ-ორჯერ არაყის სმისა თუ ყეენობის და ასკინკილას თამაშობის დროს გაუტიალებიათ და დაუნგრევია!

ხალხი გადასჩვევია სკოლას. ზოგი რამ ავეჯეულობა წაუღია შინ, ზოგი გაუტეხია და სკოლასაც თითქოს სამუდამოდ გამოსთხოვებია. დავდივართ ვეჩიჩინებით, ვუხსნით, რომ უსწავლელი კაცი ახლა აღარ ვარგა, რომ რესპუბლიკის არსებობა მოითხოვს ნასწავლ მოქალაქეთა ყოლას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბევრს ვერას გავხდით. უკვე მოვლილი გვაქვს მთელი მაზრა აგერ მესამეჯერ. ავედით თვით ხევსურეთშიც (ამის შესახებ შემდეგ), და ძლივს განვაახლეთ სწავლა ამ შემოდგომიდან ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში ათიოდე სკოლაში. ამდენივე კი კარგამოკეტილი არის უმასწავლებლობითა თუ სხვა ზემო-აღნიშნულ მიზეზთა გამო. ამ ათიოდე სკოლაში ჩვენ გვყავს დაახლოვებით იმდენივე მასწავლებელი და მოსწავლე, რაც იმერეთის ზოგიერთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში და მასთან არსებულ დაბალ სკოლაში გვინახავს თავმოყრილი: 400—500 შეგირდი, 15-16 მასწავლებელი!

ერობის გამგეობა იმ თავითვე ჩაუფიქრდა ამ წამხდარ საქმეს. პირველ ყოვლისა ერობამ მიუმატა მასწავლებლებს თვეში 700 მანეთი და 1500 მანეთად გაუხადა თვიური ჯამაგირი 1 ოქტომბრიდან. ამითაც ვერ მოვიზიდეთ საკმაო რიცხვი მასწავლებელთა. შენობების შეკეთებას, შუშების ჩადგმას, ან კერძო სახლების ქირაობას ერობა იმ თავითვე შეუდგა და დღემდე განაგრძობს მუშაობას.

სკოლების ინსტრუქტორს კი ერობა ავალებს სკოლებში ხშირ-ხშირად სიარულს და მასწავლებელთა ხელმძღვანელობას სწავლა-აღზრდის საქმეში. ერობამ კარგა დიდი თანხა გაიღო და შეიძინა რვეულები და წიგნები, ვინაიდგან მაზრაში ეს არსად არ იშოვება. ამ ნივთებს ერობა აძლევს მოწაფეებს იმ ფასებში, რაც ერობას უზის.

მალაროს კარისა და ბარის ახოს სკოლებს (ხევსურეთში) ერობა უფასოდ უგზავნის ყველა ამას. ცარცს, მელანს, საკლასო ჟურნალს და მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო წიგნებს ერობა ყველა სკოლებს უფასოდ აძლევს.

იანვრიდან ერობა ყველა სკოლებს გაუგზავნის მოძრავ ანბანს. ერობა აკეთებინებს და აძლევს სკოლებს პარტებს, სკამებს მაგიდებს დაფებს, და სხვა საჭირო ავეჯეულობას, მიუხედავად საშინელი სიძვირისა. რადგანაც მასწავლებელთა რიცხვი ასე მცირე გვყავს, ერობამ გადასწყვიტა ამ დროებით მასწავლებლობის ცენზი აქ, ასე ვსთქვათ, შეამციროს, და სამსახურში ღებულობს ერობა ყველა იმათ, ვისაც ოთხი კლასი დაუმთავრებია შესაფერი ყოფა-ქცევით, რა თქმა უნდა. ამათ აქ ხელმძღვანელობას გაუწევს სკოლების ინსტრუქტორი, რომ წერა-კითხვის შესწავლების საქმე ამ გზით ეგებ გამოვაცოცხლოთ და პატარპატარა სკოლები ყველა კუთხეებს ვახვედროთ, ამ გზას უწინაც მიმართავდნენ ხოლმე: ეგრეთ წოდებულ სამრევლო წერა-კითხვის სკოლებში ასეთი მცირე ცენზის მქონე პირთ აგზავნიდნენ მასწავლებლად, რადგანაც იმ დროს მასწავლებელთა ნაკლებობა იყო, როგორც ვიცით, და ძველი მთავრობის ეს ნაბიჯი არ შეიძლება მაინცა და მაინც შემცდარად ჩავთვალოთ. თიანეთის ერობაც იძულებულია ამ გზას დაადგეს ამ დროებით.

ზოგიერთ ადგილას სწავლის საქმე უკვე ეწყობა: ახმეტის მიდამოებში სამი სკოლა სავსეა მოწაფეებით, თუმცა ასი ბავშვიდან 60 თუ 65 ქალია, ვაჟები კი ისევ ნახირში არიან. საზოგადოდ კი საკვირველი ის არის, რომ აქაურ კაცს დღემდე ვერ შეუგნია სწავლის დიდი საჭიროება და ქალს თუ აგზავნის სკოლაში მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი ნახირში არ იგზავნება, ვაჟი კი ღორისთვის ვერ მოუშორებია. თვით ბავშვებსაც ასე აქვთ შეთვისებული: „აი ჩემი სკოლა.!“ მიმითითა ფარისკენ ერთმა მოზარდმა, რომელიც ცხვარს მისდევდა და მე კი მას სკოლა მოვაგონე.

## სახალხო გვარდიაში.

**მისალმების დეპეშები.**

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი დეპეშები მოუვიდა:

„თელავის მაზრის პროფესიონალურ კავშირის პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს კანონმდებელს დამფუძნებელ კრებას, ბრძოლაში ნაწრთობ დემოკრატიის ბელადს—ნოე ჟორდანიას, რესპუბლიკის სალ[...]—სახალხო გვარდიას და პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესების დამცველს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს დემოკრატიის სოლიდარული მუშაობა მას გამოიყვანს გამარჯვებულს საერთო ქარტეხილიდან და შორს არ არის ის დრო, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ხალხი დემოკრატიული გზით განახორციელებს სოციალიზმს. გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!.

ყრილობის თავმჯდომარე **ვარლამ ფერაძე.**

—

„კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელიც გაიხსნა დღეს, 21 დეკემბერს, სალამს გიძღვნის თქვენ, როგორც თავისუფლებისთვის თავდადებულ დარაჯს და დღემდე წითელი დროშის ქვეშ მდგარ ავანგარდს, როგორც დღემდე, აგრეთვე მომავალში განაგრძობთ თავდადებით სიარულს იმ ნეტარ სამეფომდე, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი.

**ჭიჭველაშვილი.**

## ხელოვნება.

**მუსიკა.**

დიდის სისწრაფით და ენერგიით დაეწაფა თავისუფალი დემოკრატიული საქართველო კულტურულ აღორძინებას. ყველა დარგში მუშაობა გაორკეცებულია, ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ რაც შეიძლება მალე შეივსოს წარსულ საუკუნეში დაქვეითებული დეფექტი. მიღუნებული და მიყრუებული „ქნარი“. გამოცოცხლდა და ააჟღერა ტკბილი ქართული ჰანგები. განსაკუთრებით ხელოვნების დარგს,—მუსიკას დიდი მუყაითობა დაეტყო. ოპერა—ოპერას მისდევს, აქა-იქ გვესმის შემოქმედების ხმა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არა გვყავს ამსრულებელი ძალა. სწორეთ ამაში გამოიხატება ქართ. სამუსიკო საზოგადოების და საქ. ცენტრ. კოოპერატივთა კავშირის მედგარი მისწრაფება შეექმნათ ამსრულებელი ძალა. დაარსეს „კაპელა“ (მომღერალთა გუნდი), შემდეგ საოპერო სტუდია, რომელიც გუშინ ჩვენ მოვისმინეთ ქართულ ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მუსიკა დ. არაყიშვილისა.

როგორ უნდა შევხედოთ ამ წარმოდგენას? ქართ. სამუსიკო საზ. და საქ. ცენტრ. კოოპერატივთა კავშირმა დაარსეს ის აუცილებელი სკოლა „საოპერო სტუდია“, რომელიც შემდეგში მოგვცემს მომზადებულ, თვალსაჩინო მომღერლებს და მუსიკოსებს. ეს არის აუცილებელი ლაბორატორია და მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან მივაღწიოთ ჩვენ კულტურულ მიზანს.

„საოპერო სტუდიის“ პირველი გამოსვლა მხოლოდ ამ თვალსაზრითაა საყურადღებო.

—

**ახალი ოპერა.** ჩვენმა თანამემამულემ, პირველი ქართული ოპერის „ქრისტინეს“ ავტორმა რევაზ გოგნიაშვილმა დასწერა მეორე ქართული ოპერა—„ჯადოსანი“. ოპერა ფანტასტიურია, 3 მოქ. და არის დამუშავებული ეროვნული მუსიკით. ორიგინალობა და თავისებური მუსიკალური მიმართულება ამ ოპერაშიც ეტყობა ავტორს.

**ვერის რაიონის საზოგადოების საყურადღებოდ.**

მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული ბოდიშს იხდის ვერის საზოგადოების წინაშე, რომ მისდამი დამოუკიდებელი მიზეზების გამო 4 ამა თვეს, ვერის მუშათა კლუბში დანიშნული მისი საღამო აღარ გაიმართა. სთხოვს საღამოზე ბილეთების მყიდველთ ორი კვირის განმავლობაში უკანვე მოითხოვონ ფული (წყნეთის ქ. № 2) საპარიკმახეროში. ვინც ორ კვირაში ფულს არ მოითხოვს, შემდეგ შემოსული ფული გადაეცემა განსვენებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ოჯახს.

**შეცდომის გასწორება,**

გუშინდელ ჩვენ გაზეთში „ხელოვნების“ განყოფილებაში მოთავსებულ ცნობებს შეცდომით ჰქონდა სათაურათ „მუსიკა“

## დამფუძნებელი კრება

**სესია I. სხდომა 74.**

დღეს, 26 დეკემბერს შესდგება დამფუძნებელი კრების მორიგი (74) სხდომა.

**დღიური წესრიგი:**

1. საბოლოო ტექსტი ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდების დეკრეტისა.

მომხსენებელია ი. გომართელი.

2. დეკრეტი — განათლების სამინისტროს შტატის შეცვლისა და ჯამაგირის გადიდებისა.

მომხსენებელია ნიკ. იმნაიშვილი.

3. დეკრეტი—ერობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადის განგრძობისა.

მომხსენებელია **გაბ. ცისკარიშვილი.**

4. დეკრეტი—სამოქალაქო უწყებათა—სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების—1919 წ. მაისის 20-სა და აგვისტოს 2-ს დეკრეტის შეცვლისა—განათლების უწყების ყოველი ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა შესახებ.

მომხსენებელია **გრ. ნათაძე და ნიკ. იმნაიშვილი**

5. დეკრეტი—ამიერ კავკასიის კომისარიატის 1918 წლის თებერვლის 23 დადგენილების შეცვლისა.

მომხსენებელია **კირ. ნინიძე.**

6. მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის განცხადების გამო მომარაგების სამინისტროს დაარსებისა და ამ სამინისტროს შრომის სამინისტროსთან შეერთების შესახებ.

## სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1919 წ. 29 დეკემბერს დანიშნულია განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები:

1. საქმე თედორე ბოგდანოვის მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონების სამმართველოსთან მამულის შესახებ.

2. საქმე ტფილისის ქალაქის გამგეობის მარიამ ჰენიევასთან, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობასთან, მარიამ ვართანოვისასთან და ალექსანდრე თეიმურაზოვთან მამულის შესახებ.

3. საქმე ბიძინა მაყაშვილის აბელ მათიკოვთან და კონსტანტინე გაბელოვთან 3365 მ. თაობაზე სარჩელის შესახებ.

## ბათუმის ამბები.

✦ ფულის გადამხურდავებელ კანტორის პატრონებს ადგილობრივი მთავრობის მიერ ყველას ჩამოერთვა ხელწერილი, რომლის ძალით მათ ეკრძალებათ ქართული ბონები დონის ფულზე ზედმეტ ფასებში გადაახურდაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ [illegible] და კანტორის დახურვით ემუქრებიან.

✦ წარედგინა ქალაქის თვითმართველობას სმეტა ქალაქის ელექტრონის სადგურის ანგარიშებისა მომავალი 1920 წლისა, რომელიც უდრის 8,255,960 მან. ამაში შედის მოსამსახურეთა ჯამაგირიც.

✦ ქალაქის ფურნეებიდან სულზე იძლევიან ნახევარ გირვანქა პურს. კერძო ვაჭრებთან პური 50—70 მან. ფასობს გირვანქა.

✦ 18 დეკემბ. ჩქარი მატარებლით ტფილისიდან ბათუმში ჩამოვიდა შავი ზღვის ესკადრის საფრანგეთის ადმირალი დე-ბონი.

✦ სამხედრო გუბერნატორის მიერ დაწესდა ნიხრი, რომლის თანახმად შაქარი უნდა გაიყიდოს გირვანქა 50 მან., ბრინჯი 30 მან. და ხორცი 50 მან. გირვანქა.

✦ 19 დეკემბერს, შრომის ბირჟაში ჩაეწერა 14 უმუშევარი მათ შორის ორი ქალი.

✦ ქალაქის საავადმყოფოში იყო 57 ავადმყოფი. მორჩა და გამოიწერა 6. კიდევ მოიყვანეს 4 ავადმყოფი.

✦ ამ ბოლო დროს ბათუმში ძლიერ გავრცელდა პარტახტიანი ტიფი.

## დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**გერმანული პრესა.**

სომხეთში მყოფ ამერიკის კონსულების მოხსენებებიდან სჩანს, რომ ცნობა იმის შესახებ, თითქოს გერმანია სომხების დევნაში მონაწილეობას იღებდა, კრიტიკას ვერ უძლებს. პირიქით გერმანია ენერგიულად მუშაობდა დევნილ სომეხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლადო.

ინგლისიდან გერმანიაში მოსულ ფრანგულ ცნობით პარიზში ჩაუყვანია 350 გერმანელი სამხედრო ტყვე გასასამართლებლად ომში მათ მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის. გერმანიის პრესა ერთსულოვნად თავის უკმაყოფილებას გამოსთქვამს ტყვეების სამართალში მიცემის გამო, რადგანაც ეს ტყვეები მრავალი წლისა და თვის განმავლობაში უცხოეთში იტანჯებოდენ და დღემდის კი მათთვის არავის პასუხი არ მოუთხოვია.

## რკინის გზაზე

ბათუმიდან მიღებულ ცნობებით იქ ელოდებიან სამ გემს დატვირთულს თეთრი ფქვილით. ფქვილი მოდის არგენტინიდან საქართველოსთვის. პირველი გემი სტამბოლს უკვე გამოსცილდა.

23 დეკემბერს, საღამოს ტფილისიდან საზღვარ გარეთ გაემგზავრა ქართველ სტუდენტთა ჯგუფი (50 კ.), რომელთაც მთავრობა გზავნის გერმანიის, იტალიის და საფრანგეთის უნივერსიტეტებში. მათ შორის ორი მედიკურ ფაკულტეტზე მიდის, დანარჩენნი კი ტეხნიკურ და სასოფლო მეურნეობის კურსებზე.

## წესდება

**საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა.**

§ 70. დივიდენდის მიცემა აქციებზე ხდება ამის შესახებ წინასწარ განცხადების და კუპონების წარდგენის შემდეგ. იმ კუპონებათ, რომლებიც 10 წლის განმავლობაში დღიდან ამ კუპონებით დივიდენდის მიღების ვადის გასვლისა არ იქნება წარდგენილი გამგეობაში, დივიდენდი არ მიეცემა და ჩაირიცხება ბანკის საკუთრებათ, დივიდენდის სახით ბანკის კასაში დარჩენილ ფულზე, რაკი თავის დროზე არ მოუთხოვია, პატრონს კუპონების წარდგენით არავითარ შემთხვევაში არ მიეცემა სარგებელი.

§ 71. სათადარიგო თანხები (ჩვეულებრივი და განსაკუთრებული) ბანკის ჩვეულებრივი სათადარიგო თანხა, რომლის დანიშნულებაა დაფარვა ბანკის ოპერაციებით გამოწვეული ზარალისა, თუ ვინიცობაა ბანკს ასეთი ზარალი მოუვა, სდგება ამ საგნისთვის ყოველ წლიურად ფულის გადადებით (§ 68) და ამ ფულის სარგებლით. შევსება ამ თანხისა გრძელდება იმდენ ხანს, სანამ მისი ჯამი არ გაუთანასწორდება ბანკის ძირითად თანხის ნახევარს. ამასთანავე გადარიცხვა ყოველწლიურად ხდება არა ნაკლებ 20 პროცენტისა წლიურ წმინდა მოგებიდან—ვიდრე სათადარიგო თანხა არ გაუთანასწორდება ძირითად თანხის ერთ მესამედს. როდესაც სათადარიგო თანხა მიახწევს ამ უკანასკნელის რაოდენობას, შემდეგი გადარიცხვა, სანამ ძირითად თანხის რაოდენობას ნახევარს გაუთანასწორდებოდეს, წმინდა მოგებიდან გადარიცხვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ 5 პროცენტისა.

რომელსაც სათადარიგო თანხა ძირითად თანხის ერთ მესამედ ნაწილზე ნაკლები არ იქნება, სარგებლის მთელი სათადარიგო თანხაზე, აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით, შეიძლება შეწყვეტილი იქმნეს. თუ რომელიმე წლიწადს ბანკის ზარალის დასაფარად საჭირო შეიქნება სათადარიგო თანხის ნაწილის დახარჯვა, შემდეგ წლებში, წმინდა შემოსავლიდან გადარიცხვა სათადარიგო თანხაში, აგრეთვე ამ თანხის სარგებლის მთელი განახლდება ზემოაღნიშნულ რაოდენობით, იმ დრომდე, სანამ სათადარიგო თანხა მიაღწევს მისთვის დაწესებულ ნორმამდე.

§ 72. განსაკუთრებული სათადარიგო თანხა არსდება ოპერაციებით მიღებულ ზარალის დასაფარად და შესავსებლად, საჭიროების დროს აქციონერთათვის მისაცემ 6 პროც. ეს თანხა სდგება ყოველ წლიურად წმინდა მოგებიდან არა ნაკლებ 10 პროც. გადარიცხვით, იმ დრომდე, სანამ იგი არ გაუთანასწორდება ძირითად თანხის რაოდენობას. თუ განსაკუთრებული სათადარიგო თანხა დაიხარჯება—ბანკის ზარალი დაიფარება ჩვეულებრივი სათადარიგო თანხით.

**8. ბანკის მოქმედების მოსპობა.**

§ 73. ბანკის მოქმედება შეიძლება მოისპოს ყოველ დროს საზოგადო კრების დადგენილებით, რომელიც მოხდება თანახმად ამა წესდების § 45. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ ზარალის გამო შემცირდა ძირითადი თანხა ერთი მეოთხედით, ბანკის მოქმედების მოსპობა და ლიკვიდაცია სავალდებულოა საზოგადოებისათვის, თუ აქციონერნი არ შეავსებენ ამ თანხას წინანდელ რაოდენობამდე, თანახმად მუხ. 117 და 118 გან. 10, საკრ. წეს. (კან. კრებ. ტ. 11, ნაწ. 2, გამ. 1903 წ.).

§ 74. ბანკის საქმეთა ლიკვიდაციის შემთხვევაში, საზოგადო კრება საბჭოს წარდგენით, ნიშნავს ერთს ან რამოდენიმე ადმინისტრატორს და აწესებს ლიკვიდაციის მოხდენის წესს, თანახმად მუხ. 2188, ტ. 10, კან. კრებ. და მუხ. 128—136 განყ. 10 საკრ. წეს. ადმინისტრატორთა დანიშვნით ისპობა უფლებანი და მოვალეობანი ბანკის გამგეობისა და საბჭოსი; საზოგადო კრების უფლებანი კი ლიკვიდაციის დროს რჩება წინანდელ ძალაში. იგი ამტკიცებს ლიკვიდაციის ანგარიშს და საანგარიშო წიგნაკების გაცემას.

**9. ზოგადი დადგენილებანი.**

§ 75. თუ ვინიცობაა ამ წესდების შესრულების დროს რაიმე გაუგებრობა აღმოჩნდა—მისი გადაწყვეტა ბანკის საბჭოს წარდგენით ფინანსთა მინისტრს უნდა მიენდოს.

§ 76. ბანკი ვალდებულია დაემორჩილოს იმ საკონტროლო წესებს მთავრობის მხრივ და იმ დადგენილებებს ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც იქმნება გამოცემული კანონმდებლობითი წესით.

§ 77. ყველა იმ შემთხვევაში, რომლებიც არა სწყდება ამ წესდებით, ბანკი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადო კანონებს.

158 1—1


**განცხადებანი**

გამოვიდა და იყიდება თვიური

# კედლის კალენდარი

ფასი 10 მანეთი

საწყობი: ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3. 255 3—2


მკრტიჩ ივანეს ძე მარუტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 214, მეტრიკული მოწმობა და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 442 3—1

დავკარგე შემდეგი საბუთები მიცემული ზორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბის მიერ ხსენებული შტაბის წევრობისა, № 623 1230 იარაღის ტარების ნებართვა ამავე შტაბიდან. პირადობის მოწმობა სურათით მოცემული 3 უბნის კანტრალიორ მეპანიკიდან № 47732 ს. ს. დ. მ. პ. წევრობის წიგნაკი № 93 მიცემული ზესტაფონის ორგანიზაციიდან. გთხოვთ ყველა ეს საბუთები ჩასთვალოთ გაუქმებულად. 434 3—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გიორგი ბესარიონის ძე ხორბალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხორბალაძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. I ნ. X ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

ირაკლი ბესარიონის ძე ნებურიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული პატარა ონის (რაჭა) კომისარიატიდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
438 3—2

ივლიტე ალმასხანის ასული ფირცხალაიშვილი აცხადებს, რომ დაჰკარგა რკინის გზიდან მიღებული სამგზავრო ბილეთი, პირადობის მოწმობა სურათით, შვილებზე აპეკუნობის მოწმობა, და საპენსიო კასიდან აღებული კვიტანცია. აღნიშნული მოწმობები გაუქმებულად ჩაითვალოს. 439 3—2

ექიმი კონსტანტინე ერისთავი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რკინის გზის კოოპერატივიდან აღებული სასურსათო წიგნაკი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.
443 3—2

არშაკ მიხეილის ძე სიმონიანცის მემკვიდრეები აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს გირავნობის მოწმობა, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1900 წ. იანვრის 27 ს, რეესტრი № 266 3000 მან. გევორქ კარაპეტის ძე ყაზაროვის მამულზე, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-7 უბანში გაუქმებულად ჩაითვალოს.
410 3—3

ნაფიცი ვექილი შ. ტერ-გევონდიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პორტფელი შემდეგი საბუთებით:

1. ფურცელი გრიგოლ რამენდიკზე საჩივრისა, № 22765, 2 და 3. ორი ფურცელი ტიგრან ნერსესოვზე საჩივრისა №№ 2845 და 6982, 3. ფურცელი არტემ ევანგულოვზე საჩივრისა № 1431, 4. ფურცელი სერგი ედიგაროვზე საჩივრისა, 5. ვექსილი 450 მან. მიცემული ტერ-სტეფანოვის მიერ აზუვის ბლანკით და განაღდებული აზოვ. დონის კომერციულ ბანკში № 164509. ვექილობები მის სახელზე. აზოვ-დონის ბანკის მიერ, ამხ. „ტრეუგოლნიკის“ მიერ, ამხ. „კიუმენეს“ მიერ, ამხ. „ინჟენერის“ მიერ, ამხ. „იუნხ და ვეისის“ მიერ. ყველა აღნიშნული საბუთები გაუქმებულად ითვლება.
429 3—3

ისაკ შალომის ძე გორელაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა 66 ტ. ლიტ. ა. გაუქმებულად ჩაითვალოს.
435 3—3

მიხეილ ნიკოლოზის ძე აჯიბეგიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 23/IV № 453. გაუქმებულად ჩაითვალოს. 426 3—3

ეფროსინე მიხეილის ასული გოროდენსკაია ცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი აღებული 1898 წელს, № 6840. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 414 3—3

გორის უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ გაუქმებულია ვექილობა, მიცემული მარიამ გაბრიელის ასულის ინიაშვილის მიერ ივანე ტიმოთეს ძე ინიაშვილზე,
225 3—3

ქუთაისის ქალაქის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად აკაკი ანტონის ძე იმედიძიშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო პასპორტი, რომელიც მას ჰქონია მიღებული ამავე სამმართველოდან. სთოვს მპოვნელს აღნიშნული პასპორტი წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ.
217 3—3

გოზალ აკოფის ასული ეგიაზარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი მამულზე № 104, რომელიც მას ეკუთვნის, ზომით 100,30 კვ. ს., სიგელი დამტკიცებულია ტფ. ოლქის სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1913 წ. ივნისის 7-ს, რეესტრი № 1625. 417 3—3

საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ საგირავო კვიტანციები, რომელნიც იყვნენ მიცემული აღნიშნულ სამმართველოდან სავაჭრო სახლის „ძმათა ფორერებზედ“ №№ 31611—31620-დე თითო 1000 მანეთიანი, №№ 11791—11820-დე 500 მან. და 28021—28030-დე 100 მან. სულ 26000 მან. ფორერებმა დაჰკარგეს. რისთვისაც აღნიშნული კვიტანციები გაუქმებულად ითვლება. 428 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ დიმიტრის ასულმა ჭილაურიშვილისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ალექსანდრე ილიას ძე ჭილაურიშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1915 წ., უკვალოდ დაიკარგა იმავე 1915 წელს, რის გამო აღნიშნული მარიამ დიმიტრის ასული ჭილაურიშვილი ითხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის, დაკარგულ ალექსანდრე ილიას ძე ჭილაურიშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 452 1—1

დავკარგე პურის მისაღები ბარათი ქრისტეშობისთვის და იანვრისა, №№ 1250 და 2063, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. რკინის გზის მოსამსახურე ვ. შახაშვილი.
(უ) 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზა აცხადებს, რომ 28 დეკემბერს, 1919 წ. 1 საათზე დანიშნულია კონკურენცია იჯარით აღებისა 150 ფუთი ქონი ძროხისა ან ცხვრისა. ცნობა მოეცემა დახურული ბარათით, დაწვრილებით პირადათ ან ფოსტით ტფილისი სამასალო ნაწილი 9 საათიდან 3 მდე 263 1—1

ვანო მიხეილის ძე ხუციშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა ატესტატი № 154 აღებული 1910 წელსა ივნისის 10-ს სიღნაღის სამოქალაქო სამკლასიანი სასწავლებლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 260 1—1

სამტრედიის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად თავისი დადგენილებისა და 846, 847, 848 და 851 მუხ. სისხლის სამ. წარმ. წეს. ეძებს მცხოვრებს ს. ასკანას, ოზურგეთის მაზრისა, ვასილ ესტატეს ძე ცინცაძეს, 22 წლისა, ბრალდებულს ქურდობაში. ყველა, ვინც კი იცის სად იმყოფება ეს ცინცაძე ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. 0295 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად გაბრიელ ლეონტის ძე პაზჩენკოს განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი, მიღებული 1916 წელს № 255 კოლომენსკის მამასახლისიდან, ხარკოვის გუბერნიისა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული პასპორტისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ.
258 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად ივანე ანდრიას ძე ანდრეევის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს დროებითი პასპორტი სამი თვისა, მიღებული ფოთის ქალაქის მილიციის სამმართველოდან 24 აპრილს 1919 წ. № 202, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული პასპორტი წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 257 3—1

აზად ივანეს ძე მანუჩარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბაჟო კვიტანცია № 23242 მიღებული ბათუმში 18 დეკემბერს 9 ფუთ საქონელზე. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს მაღაზია „უნივერსალში“, მიხეილის ქ., № 38.
446 3—1

ქალ. ტფილისის მეოცე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ოვანა ტერ-ყაზარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ტერ-ყაზარიანცის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. 1 ნაწ. X ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. განცხადება ძალაში შედის 16 ოქტომბრიდან.
1554 1—1

ვეძებ მზარეულის ადგილს. მაქვს რეკომენდაცია. სოლოლაკის ქ. № 17.
447 1—1

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნინო იოსების ასული მელაძის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თავისი უფლება მელაძის ქონებაზე, სამ. კან. მეათე ტ I ნაწ. 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში.
441 1—1

ირაკლი დიანოსის ძე პაპავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ქ. ბათომში, საქართველოს საკონსულოდან 30/X 19 წ. № 7491. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
448 3—1

ნიკოლოზ ძამაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული სოფ. მარტყოფის სოფლის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
449 3—1

ქალ. ტფილისის 1 სამომრიგებლო უბნის ბოქაული გ. ბარუტჩევი აცხადებს, რომ 1920 წლის იანვრის 13, დილის ათ საათზე, პოდგორნი შეს. № 3, საჯაროთ გაიყიდება მიხეილ თევდორაშვილის უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას, შეფასებულს, 2510 მან. მამული გაიყიდება დავით მახარაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად სულ 4500 მან. 449 1—1

ქალ. ტფილისის 1 სამომრიგებლო უბნის ბოქაული გ. ბარუტჩევი აცხადებს, რომ 1920 წლის იანვრის 12, დილის ათ საათზე, ბელინსკის ქ., სახლი № 41. საჯაროთ გაიყიდება მიხეილ თევდორაშვილის მოძრავი ქონება, რომელიც შეიცავს სადურგლო იარაღს და ტყის მასალას, შეფასებულს 1740 მან მამული გაიყიდება დავით მახარაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად სულ 4500 მან. 449 1—1

ქალ. ტფილისის მე-9 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე კ. პოტიომკოვსკი ამით აცხადებს, რომ 1920 წლის იანვრის 4, დილის ათ საათზე, მე-9 სამომრ. უბანში (ტურგენევის ქ., № 4) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვილჰელმ რაუშენბერგის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას, შეფასებულს 1680 მან. და აწერილს ენგელბერტ ეკესის ვალის დასაკმაყოფილებლად სულ 1668 მან. 81 კაპ. 445 1—1

ქ. ტფილისის მე-8 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული მამედ ბეკ მინასაზოვის მიერ ისმაილ ჯალალოვზე და შედგენილი ბაქოს ნოტარიუს დუბროვინთან, რეესტრი № 10096, გაუქმებულად ითვლება. 1—402—1

გიორგი უტუტის ძე რაფავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა, მეუნაგრეთა ცეხის სამამასახლისოს მიერ მიცემული მოწმობა № 102. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 416 3—1

ეზეკი ივანეს ძე გურგენიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერი „მაუზერის“ სისტემისა № 71168 ტარების ნებართვა გაუქმებულად ჩაითვალოს. 415 3—1

ნიკიფორე რომანოზის ძე გოგსაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ჯუანშერის მაზრის უფროსისგან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 418 3—1

აბრამ იაკოფის ძე ჯანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 15771, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
420 3—1

კოოპერატივ **„ედინენიე“-ს** გამგეობა

და სარევიზიო კომისია აუწყებს კოოპერატივის წევრებს, რომ კოოპერატივის ეხლანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხების ნათლათ გამორკვევის მიზნით, ახლო მომავალში მათი ადრევე განსახილველათ მოწვეულია წევრთა სარაიონო თათბირი და ამის მიხედვით ვადა **შემდეგ საგანგებო სხდომისა** გადატანილია 1920 წლის იანვრის 15 თვის. სარაიონო თათბირის დრო და ადგილი და აგრეთვე კრებისაც ცალკე იქნება გამოცხადებული. 455 1—1

# სამთო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 30 დეკემბერს 1919 წ. დილის 10 საათზედ, ქ. თელავში, ინჟ. ოგანეზოვის სახლში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ილდოკანის სარეწავის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ინვენტარი, რომელიც იმყოფება ქ. თელავში. სახელდობრ: 1 კომპლექტი საბურღი ინსტრუმენტები 4—5 დიუმისა, რკინის მილები $1^1/_2$—2 დიუმ. არმატურით 200 საჟენი, 10 ფუთი რელსი, 3 ბოჭკა ცემენტი, 5 ძველი ტულუფი, 10 ასეთივე შარვალი, 8 უბრალო ლამფა, მედიკამენტები და ზოგიერთი საავთიაქო საგანი, 4 ცხენი, 1 ძველი ფაეტონი და წვრილმანი ნახმარი სამჭედლო იარაღი. ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში სამთო სამმართველოში (პეტრე დიდის ქ., № 10) და ადგილობრივ თელავში ინჟ. ვაჩნაძესთან. 457 2 1